სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№94
27.02.2018 წ.

ხელშეკრულება №54

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი 27 თებერვალი 2018 წ.

ხეშეკრულების მხარეები:

საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი–დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს უფროსი **კარლო ურუშაძე** (შემდგომში **„დაცვად" („მიმწოდებლად")** წოდებული),

შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი"-ს დირექტორი **მინდია კახიძე** (შემდგომში **„შემსყიდველად"** წოდებული),

ორთავე ერთად **„მხარეები"**, მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის საფუძველზე ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით „დაცვა" იღებს ვალდებულებას განახორციელოს ერთჯერადად „შემსყიდველი"-ს მოთხოვნის შესაბამისად მომსახურება: მათ მიერ სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომლის სპეცდანიშნულების ტვირთთან ერთად დაცვა-გაცილება **ქ. ბათუმის ტერიტორიაზე** .

1.2 „შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას „დაცვას" გადაუხადოს დაცვის **„მომსახურების"** ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

1.3 კლასიფიკაციის კოდი: **79700000 (CPV)**

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1000 (ერთი ათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული „დაცვის" მომსახურების ღირებულება ერთჯერადად, ყოველ შესრულებულ სამუშაოზე შეადგენს **200** (ორასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. „შემსყიდველ"-სა და „დაცვას" შორის ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით **(საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სასწრაფო დახმარების სახელმწიფო პროგრამის 2018 წლის დამტკიცებული შესყიდვების გეგმის თანახმად)**, აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს ანგარიშზე, წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. „შემსყიდველი" წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტით გათვალისწინებულ თანხას „დაცვას" გადაუხდის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან **5 (ხუთი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

GEORGIA CENTRE OF FIRST AID OF BATUMI LTD 245426490

S.P.D. ADJARIAN SECURITY 211350928

3.4. იმ შემთხვევაში თუ „შემსყიდველი"-ს მიერ მოხდება დაცვის ეკიპაჟის გამოძახება და ამავდროულად არ შესრულდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაცვა-გაცილება დამკვეთი იხდის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ნახევარს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 **„დაცვა" ვალდებულია:**

4.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1. პუნქტით განსაზღვრული გაცილებისათვის გამოყოს სპეციალური შეფერილობის, სპეციალური სანათი და ხმოვანი მოწყობილობით აღჭურვილი ავტომანქანა.

4.1.2 სპეცდანიშნულების დაცვა-გაცილება განახორციელოს აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველოს ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი თანამშრომლებით.

4.1.3. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება და მოვალეობები „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

4.1.4. არ გაამჟღავნოს **„შემსყიდველი"** სამსახურებრივი საიდუმლოება.

4.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

4.2.1 წინასწარ (ერთი დღით ადრე) წერილობით ან სიტყვიერად შეატყობინოს „დაცვას" მარშრუტის დაწყების ზუსტი დრო და თარიღი.

4.2.3. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ დროში აანაზღაუროს „დაცვის" მომსახურების ღირებულება;

შენიშვნა: „შემსყიდველ"-ს ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გარეშე დაავალოს დაცვის თანამშრომელს ხელშეკრულების 1.1. პუნქტში განსაზღვრული მომსახურების გარდა სხვა საქმიანობა.

მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის **2018 წლის 27 თებერვლიდან** და **მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, მხარეები ერთი თვით ადრე წერილობით აცნობებენ ერთმანეთს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მუხლი 6. ფორს–მაჟორი.

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან ფორს–მაჟორული შემთხვევების დროს: ომი, საომარი მდგომარეობა ქვეყანაში, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა სტიქიური მოვლენები, რომლის დროსაც შეუძლებელია დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და რაც დადასტურებულია კომპეტენტური ორგანოებისა და სამსახურების მიერ.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. „დაცვა" კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

7.2 „შემსყიდველი" კისრულობს პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის.

მუხლი 8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც იქნება აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი.

GEORGIA CENTRE OF FIRST AID OF B. LTD 245426490

A.R. OF GEORGIA C.P.L.S.P.D. ADJARIA M.I.A. OF GEORGIA 211350978

8.2. სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
8.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო დანარჩენი „დაცვასთან".

„დ ა ც ვ ა "	„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"
საქართველოს შსს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო საიდენტიფიკაციო კოდი: 211350928 მისამართი: ქ. ბა|თუმი, ტ. აბუსერიძის ქ. №11 ტელ: 577 025 834.	შპს „ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი" საიდენტიფიკაციო კოდი: 245426490; მისამართი: ქ. ბათუმი პუშკინის ქ №154, ტელ: 577 52 52 79. 577 10 43 03
მიმღები ბანკი-სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება-ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი: TRESGE22, მიმღების დასახელება-ხაზინო კოდი – 707117043.	მიმღები ბანკი: სს „თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა GE22TB138836020100004.
----------	----------
სამმართველოს უფროსი: კარლო ურუშაძე	დირექტორი: მინდია ჯაფიძე